№ 4

სამშაბათი, 20 იანვარი 1897 წ.

**ჯაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვ | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 22 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 4

შაბათი, 20 იანვარი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

იანვრის 19-ს ხანგრძლივი ავათ-მყოფობის შემდეგ გადაიცვალა, თბილისის ქვაშოეთის წმ. გიორგის ეკლესიის

**წინამძღვარი, დეკანოზი დავით ჭრელაშვილი**

ღები და ნათესავები სთხოვენ ნაცნობთა და პატივის-მცემელთ დაესწრნენ სადგომიდან ეკკლესიაში მცხედრის გამოსვენებას 22 იანვარს საღამოს ოთხ საათზე და დამარხვაზე 23 იანვარს.

პანაშვიდები დანიშნულია ყოველ დღე შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზედ.

(1—70—1)

## „ივერია“

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა საქმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წლის მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

ქართული თეატრი.

**ბენეფისი**

კ. დ. ყიფიანისა.

ოთხშაბათს, 22 იანვარს.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ საფაროვი-აბაშიძისა, ბ-ნ აბაშიძისა და ყიფიანის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

I

## ვენეციელი ვაჭარი

დრ. 4 მოქ. 5 სურ., შექსპირისა, თარგმ. დიმიტრი ყიფიანისა.

II

## უბედური დღე

ვოდ. 1 მოქ., ბალანჩივაძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, გამყრელიძე, კარგარელი, კუნდელი და სხვ. ბ-ნნი. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, კანდელაკი, შათირიშვილი, გამყრელიძე, ბალანჩივაძე, ნემო, ადამიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. ყიფიანი.

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

ექიმი

## გიორგი გადრიძე

იღებს ავადმყოფებს 12—2 სათ.

სვიმონოვის ქუჩა, № 8

(5—1460—2)

ტფილისი, 20 იანვარი

23-ს ამ იანვარს დანიშნულია საგანგებო კრება თავად-აზნაურობისა მოსალაპარაკებლად იმის თაობაზე, რომ თ. ზაქარია ერისთავს ჰსურს უძღვნას თავად-აზნაურობას თავისი ოძისის მამული იმ პირობით, რომ თავად-აზნაურობამ თავისის მხრითაც შრომა მიიღოს, სამეურნეო სასწავლებელი გამართოს და სასწავლებელს საგზალი და სახსარი აღმოუჩინოს. ეს თითქმის პირველი და სასახელო მაგალითი უხვის შეწირულებისა საზოგადო საქმის საოხად და საშველად დიდ-მნიშვნელობიანია და ცოდვა იქნება, რომ თავად-აზნაურობა ისე ხელ-და-ხელ და გაკვრით მოეკიდოს ამ საქმეს და მის გაჩხრეკას და გადაწყვეტას მოუმზადებლად შეჰბედოს. აქ მცირედი რამ წინდაუხედველობა, არა-საკმაოდ გამორკვევა ყოველის ვითარებისა და გარემოებისა, არა-საბუთიანად გამოკვლევა ყოველ იმისი, რაც საფუძვლად უნდა დაედვას ჩვენს ამ საგანზე განაჩენსა მეტის-მეტი უგულობა, უთავბოლობა იქნება ჩვენის მხრით.

რომ ასე არ მოხდეს ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, საჭიროა ვიცოდეთ მოკლე ისტორია მაინც ამ საქმისა, როგორ იქმნა დაწყებულ, რაზედ აშენდა, რაზედ შესდგა, რა გარემოება შეხვდა გზაზე და რამ მოიყვანა იგი დღევანდელ დღემდე. ამ საგანზე არსებობს პროტოკოლი თავად-აზნაურთა საგანგებო კრებისა. პროტოკოლი დადგენილია 7 მაისს 1895 წელსა. ამ პროტოკოლიდამა სჩანს, რომ ჯერ კიდევ 1893 წელს მაშინდელ გუბერნიის მარშლისათვის მიუწერია თ. ზაქარია ერისთავს და გამოუცხადებია სურვილი შესწიროს თავად-აზნაურობას თავისი ოძისის მამული იმ პირობით, რომ იქ გაიმართოს სამეურნოე სასწავლებელი, შესაფერი თავად-აზნაურთა საჭიროებისა. მაშინდელს მარშალს სწორედ ასე მოუხსენებია ეს სურვილი თ. ზაქარია ერისთავისა თავად-აზნაურთათვის, რომელნიც მოწვეულ ყოფილან საგანგებო კრებაზე 2-ს მაისს 1893 წ. ამ კრებაზე თავად-აზნაურობას დაუდგენია: 1) გამოეცხადოს მთელის თავად-აზნაურობის სახელით თ. ზაქარია ერისთავს მადლობა; 2) მიენდოს გუბერნიის მარშალს კანონიერის გზით დაემტკიცოს თავად-აზნაურობას ეს შემოწირული მამული, როგორც კუთვნილება და საკუთრება; 3) მასვე გუბერნიის მარშალს მიენდოს, თუ საჭიროდ დანახულ იქმნება, იშუამდგომლოს, რომ უმაღლესად ნება დართულ იქმნას ამ შემოწირულ მამულის დამტკიცება თავად-აზნაურთა სახელობაზე; 4) მიენდოს გუბერნიის მარშალს მიიღოს იგი პირობანი, რომელსაც თ. ზაქ. ერისთავი დაადგენს კუთვნილების ქაღალდის შედგენის დროსა. *)

9-ს დეკემბერს 1894 წ. უმაღლესად ბძანება გამოვიდა, რომ ნება დართულ იქმნა შემოწირული თ. ერისთავისაგან მამული 1,000 დესეტინა, რომელიც შეადგენს მამა-პაპეულს მის კუთვნილებას, მიიღოს საქართველოს თავად-აზნაურობამ იმ აზრით, რაც ნაჩვენებია თვით შემწირველისაგანაო (იხ. ბ-ნ კუტაისსკის ქაღალდი 12 იანვრის 1896 წ. № 197).

ამის შემდეგ თ. ზაქ. ერისთავს მიუწერია გუბერნიის მარშლისათვის ორი წერილი, ერთი 24 აპრილს და მეორე 3-ს მაისს. ამ წერილებში თ. ზაქ. ერისთავი ამ პირობას თხოულობს თავად-აზნაურობისაგან: 1) წელსვე შემოდგომიდამ გამართოს სასოფლო მეურნოების სკოლა დაბალის ხარისხისა; ათს წელიწადს შემდეგ, როცა იმ დროისათვის შეძლება სკოლისა მოიმატებს, მამულის რიგიანად კეთების გამო, და თვით თ. ზაქარია ერისთავიც, თავისის მხრით, იმ სკოლის ღონისძიებას განაძლიერებს, იგი სკოლა უნდა გადაკეთებულ იქმნას საშუალო სასოფლო-მეურნოების სასწავლებლად. ამასთან თ. ზაქ. ერისთავი სთხოვს გუბერნიის მარშალს ეს კატეგორიულად დადგენილნი პირობანი აუწყოს თავად აზნაურობას და აცოდინოს, რომ თუ თვითონ თავად-აზნაურობაც თავისის მხრით არაფერს შემოსწირავს და თავისის მხრითაც არასფერს გაიმეტებს, ეს საქმე არც ეხლა და არც ბოლოს არ განხორციელდებაო. მოისმინა რა ყოველივე ეს თავად-აზნაურობამ 7 ს მაისს 1895 წ., დაადგინა: ამორჩეულ იქმნას კამისია თ. ზაქ. ერისთავის თავმჯდომარეობით და წევრებად კამისიისა დანიშნულ იქმნან: თ. ივ. სულხ. ჭავჭავაძე, ალ. იოს. კობიაშვილი, დ. ი. მუსხელოვი, თ. ივ. ზაქ. ანდრონიკაშვილი, იოს. ივ. წინამძღვრიშვილი და თ. რევ. ქაიხ. ვაჩნაძე. ამათ თავად-აზნაურობამ დაავალა დაწვრილებით გამოარკვიონ საქმე და გამორკვეული და მომზადებული მოხსენება წარუდგინონ ან საგანგებო კრებას თავად-აზნაურობისას, ან მორიგს, როგორც საჭიროდ დაინახავენ.

კამისია შეუდგა თუ არა ამ მისთვის მინდობილ საქმეს, თავისი ყურადღება მიაქცია ოთხს საგანს და ეს ოთხი საგანი გამოარკვია ამ სახით: პირველი საგანი იყო ის თუ,—რა მნიშვნელობა აქვს სასოფლო-მეურნოების ცოდნას თავად-აზნაურობისათვის. ეს საგანი მეტად თვალ-ნათლად დასანახია და ამაზე დიდი ლაპარაკი და საუბარი არ დასჭირებიაო: ყველას ერთ ხმობით გარდაუწყვეტია, რომ იმისთანა სასწავლებელი, საცა ჩვენ ყმაწვილ-კაცობას შეეძლება მიიღოს ხსენებული ცოდნა, უცილობელს საჭიროებას შეადგენს მთელის თავად-აზნაურობისათვის. „მარტო ის გარემოებაო, ამბობს მოხსენება კამისიისა, რომ სასოფლო-მეურნოების სასწავლებელი საჭირო ცოდნას მისცემს იმ ნაწილს ყმაწვილ-კაცობისას, რომელიც ვერ შესძლებს თვისი სწავლა-განათლება განაგრძოს აწ არსებულ საშუალო სასწავლებლებში, და თავისს ოჯახს დაუბრუნდება განსაზღვრულად მომზადებული, ისეთის დიდის მნიშვნელობისაო, რომ სასოფლო მეურნოების სასწავლებლის სარგებლობა ეჭვს გარეშეაო.

მეორე საგნად ის აღნიშნეს თუ—რა სახის სასოფლო-მეურნოების სასწავლებელი უფრო სასურველია და შესაფერი. კომისია იმ აზრზე დადგა, რომ თუ გვინდა სასწავლებელი გაუძლვეს აწ არსებულ საჭიროებას თავად-აზნაურობისას, მთელი თვისი ღონე იმაზე უნდა მიჰმართოს, რომ საკმაო სწავლა-ცოდნა მიანიჭოს შუათანა და წვრილ მამულების მეურნოებისათვის თეორიულად და პრაქტიკულად და ამიტომ განზრახული სასწავლებელი უნდა იქმნას საშუალო სასწავლებლის კურსისაო.“

მესამე საგანი ის იყო თუ,—ოძისის მამული, მისი ადგილ-მდებარეობა და გარემოება შეეფერება თუ არა ხსენებულ სახის სასოფლო მეურნოების სასწავლებლის მოთხოვნილებასაო. მცოდნე კაცებს გაუსინჯავთ ამ მხრით შემოსაწირავად დანიშნული თავ. ზ. ერისთავისაგან მამული და უცვნიათ, რომ ოძისის მამული თავისის ადგილ-მდებარეობით, სივრცით და სიდიდით სხვა-და-სხვა ნაწილებისა, მიწისა და ჰავის მხრით, აგრედვე მით, რომ ადვილი სარწყავები აქვს, მთლად შეეფერება მას, რაც საჭიროა სასოფლო მეურნოების სასწავლებლისათვის. ნაკლად მარტო ის უცვნიათ, რომ რკინის გზას მოშორებულიაო, მაგრამ გზები უკვე კეთდება და ამ სიკარგით მისვლა-მოსვლა გაადვილებულ იქმნებაო.

ყველაზე მძიმე და ძნელად გადასაწყვეტი მეოთხე საგანია. ეს საგანი შეეხება მას თუ,—რა ეღირება სკოლის გამართვა და მისი შენახვა. ეს რადგანაც რთული და ვრცელი საგანია, ამაზე საუბარს ხვალისათვის გადავდებთ.

*) აქ საჭიროა მოვიყვანოთ თვითონ ტექსტი ამ მეოთხე მუხლისა. 4) Уполномочить губернскаго предводителя дворянства на принятіе тѣхъ ограниченій, какія будутъ установлены Княземъ Захаріемъ Георгіевичемъ Эристовымъ, при составленіи акта о переходѣ имѣнія.

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ წინ, კვირას, 19 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ხუთ მოქმედებიანი დრამა ვ. გუნიასი „და-ძმა“. როლები უწინდელებრ იყო განაწილებული ფაღავას როლის გარდა, რომელსაც ამ ხელად ასრულებდა სვიმონიძე, და ადამიების როლებს გარდა. მამის როლს ასრულებდა ბ-ნი გამყრელიძე და შვილისას ბ-ნი მჭედლიშვილი. პიესამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა. წარმოდგენას საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო.

⁂ ხვალ 22 იანვარს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენის სცენის ერთის საუკეთესო არტისტთაგანისა ბ-ნი კ. დ. ყიფიანისა. ბ-ნი ყიფიანი, როგორც ვუწყით, ქართულ მუდმივ სცენის დაარსებიდგან ჰმოღვაწობს საარტისტო ასპარეზზედ და არა ერთი და ორი ტიპი შეუქმნია ამ ხნის განმავლობაში. მობენეფისეს საბენეფისოდ ამოურჩევია თვისის მამის, პატივცემულ დიმიტრი ყიფიანის მიერ ნათარგმნი შექსპირის შესანიშნავი პიესა „ვენეციელი ვაჭარი“ და ახალი ვოდევილი „უბედური დღე“, ბალანჩივაძისა. ამ წარმოდგენაში ბ-ნ

ველად იღებენ მონაწილეობას ქუთათური არტისტები ბ-ნნი ბალანჩივაძე და ნემო, რომელნიც საკუთრივ ამ წარმოდგენისათვის ჩამოვლენ ტფილისში. იმედია, ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივის პატივისცემით მიეგებება ამ წარმოდგენასაც.

*** დღეს, 21 იანვარს, სრულდება 25 წელიწადი, რაც დაარსდა „ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება“, ხოლო 24 იანვარს 25 წელიწადი უსრულდება „ტფილისის საკომერციო ბანკის“ არსებობას.

*** ჩვენ მოგვივიდა ლექსები თავ. ქ. შ. გელოვანისა, გამოცემული ავტორის მიერ. წიგნი ლამაზად არის დაბეჭდილი, შეიცავს 38 გვერდს პატარა ზომისას და ჰღირს 15 კაპ.

*** საერო განათლების მინისტრს უკვე წარუდგენია სახელმწიფო საბჭოში მოხსენება ქ. ბათუმში კლასიკურის გიმნაზიის დაარსების შესახებ. ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ქალაქმა უნდა ააშენოს გიმნაზიისთვის შენობა და ყოველ წლიურად 10,000 მანეთი გადიხადოსო. ხოლო ფინანსთა მინისტრს კი ის აზრი წარუდგენია, რომ კარგი იქნება ბათუმს ყოველ წლიურად 15,000 მანეთის გარდახდა დაეკისროს ამ საგნისათვისო.

*** ქ. ბათუმი. ქ: ბათუმში განიზრახეს სამკურნალოს დაარსება, რომლის ხარჯიც ნავთ სადგურის შემოსავლით უნდა დაეფარა ქალაქს. ამიტომ ქალაქმა გაუგზავნა დეპუტაცია მინისტრს. როგორც გაზეთი „Черн. Вѣст.“ ამბობს, მინისტრმა არ შეიწყნარა დეპუტაციის თხოვნა, რადგან სამკურნალოს ნავთ სადგურთან არაფერი დამოკიდებულება არა აქვს და მაშასადამე, ვერ მოგცემთ ამის ნებას, რომ ნავთ სადგურის შემოსავალი იმაზედ დაიხარჯოსო.

*** ოზურგეთი. ორს თებერვალს ქ. ოზურგეთში დანიშნულია გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს წარსულის წლის ანგარიში, შესცვალოს ამხანაგობის პირობის წერილის ზოგიერთი მუხლები და აირჩიოს სარევიზიო კომისიის ზოგიერთი წევრი და სხვა.

*** განჯა. 10 იანვარს დილის ექვსის ნახევარ საათზედ, განჯაში მოკლულ იქმნა ტელეგრაფის მოხელე ვიქტორ რიხტერი, ოც-და-ერთის წლისა. როგორცა სჩანს, მკვლელობა ჩაუდენიათ ავაზაკებს, რომლებიც შეპარულიყვნენ მე-8 №-ის სახლში და გაძარცვას უპირებდნენ. რიხტერი იქვე თავისს ბინაზე მინავალიყო და შემთხვევით შეხჩებოდა ავაზაკებს. იმათ-კი უთუოდ შეშინებიათ, არ გაგვცესო; და იქვე მოუკლავთ.

*** როგორც გაზეთ „Нов. Об.“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, კავკასიის ახალი მთავარ-მართებელი თ-დი გოლიცინი მომავალ კვირას ჩამოვა კავკასიაში.

*** სპარსეთში გაიგზავნება თურმე შვიდი ექიმი, რომელთაც ყოველი ღონე უნდა იხმარონ ინდოეთიდგან სპარსეთში შავის ჭირის გავრცელების წინააღმდეგ.

*** გუშინ ქალაქის გამგეობის წევრმა თ. არღუთინსკიმ და სასანიტარო-საექიმო ინსპექტორის თანაშემწემ დაათვალიერეს მამიკონოვის სახლი წყლის პირა ქუჩაზედ, სადაც განზრახვა აქვთ გაჰმართონ დროებითი სამკურნალო ქუნთრუშით ავადმყოფებისათვის:

*** სად. აბაშა. 19 ამ თვეს ფოთიდგან მომავალი სახალხო მატარებლის ვაგონის ბაქანიდგან უეცრად გადმოვარდა ონის მაზრის მცხოვრები 23 წლის გლეხი ლონგინოზ დავითელიანი, რომელსაც ძალიან დაუშავდა მარცხენა თეძო. დაშავებული ნათესავებმა სოფელში წაიყვანეს მოსარჩენად.

*** გუშინდელს „ცნობის ფურცელში“ საბჭოს ხმოსანთა არჩევანის შესახებ ნათქვამია: ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში გამოაცხადაო, რომ 18 მაისს დანიშნულია კრება სახლის პატრონებისა, რომელთაც უნდა ამოირჩიონ ახალი ხმოსნები საბჭოსი. სამოქალაქო დებულების ძალით, საბჭოს უფლება აქვს ამოირჩიოს ხმოსნები ან ერთ საზოგადო კრებაზედ, ან დანიშნოს რამდენიმე კრება თანხმად ქალაქის სხვა-და სხვა განყოფილებისა. ქალაქის საბჭომ წარსულ დეკემბერს გარდასწყვიტა, რომ არჩევანები ერთს კრებაზედ უნდა მოჰხდესო. ეს გარდაწყვეტილება დაამტკიცა ბ მა ტფილისის გუბერნატორმა და ამის შემდეგ გამგეობამ გამოსცა საყოველთაო განცხადება შესახებ ამომრჩეველთა სიების შედგენისა. მაგრამ ეხლა ჩვენ გვატყობინებენ, ვითომც გუბერნიის ადმინისტრაციას სამართლიანად დაუნახავს, რომ ყველა ნაწილმა ქალაქისამ თითონ ამოირჩიოს თავისი ხმოსნები, რადგან ყოველმა ნაწილმა კარგად იცის თავისი კაცები, რომელი მათგანი უფრო გამოადგება ქალაქს ნამდვილ წარმომადგენლადაო. თუ ეს აზრი გამართლდა და ყოველ ნაწილში განცალკევებული კრება იქმნა დანიშნული ამ ამორჩევისათვის, მაშინ, უეჭველია, ვადაც უნდა გამოიცვალოს კრებისა და მოჰხდეს არა მაისში, არამედ ნოემბერში, იმიტომ რომ დასჭირდება შედგენილის სიების ხელმეორედ გადაკეთება და ეს არ მოესწრობა ამ თვის გასვლამდე, როგორც კანონი ითხოვს, ჩვენის აზრით, ის გარემოება, რომ არჩევანები გადიდება ნოემბრისთვის, დიდ დაბრკოლებად არ უნდა ჩაითვალოს, პირიქით, უკეთესიც იქნება, რომ ახალი საბჭო წლის დასაწყისიდამ შეუდგება თავის მოვალეობის აღსრულებას, როგორც წინედაც იყო, და გათავდება სწორეთ ოთხის წლის შემდეგ, 1898—1902 წლები.

*** იმავე გაზეთს ქალადიდგან შემდეგ უცნაურს ამბავსა სწერენ: „ახალსენაკის მახლობლად არის პატარა სოფელი, რომელსაც ეძახიან „ცივს“. ამ თთვის 13-ს ერთი მშვენიერი, ლამაზი ქალი, თეთრის ტანისამოსით, თეთრს ცხენზედ, ამაზონკით, თავ-შიშველი, ყელ მოტიტვლებული, და ორიც კოხტა, ლამაზი ყმაწვილი კაცი, რომლებიც ფეხით თან ახლდნენ, დადიოდნენ ერთად და ჰქადაგებდნენ წმიდანებზედ და ხალხის დახმარების შესახებ; დაჩოქილები ლოცულობდნენ სამივენი. ხელები ერთი ერთმანეთზე დაეწყოთ და თან პირჯვარს იწერდნენ. ხალხიც დიდის აღტაცებით შეჰყურებდა. სამივე მლოცველები ტიროდნენ; არაფერს არ იღებდნენ არავისგან. აქაურმა მაზრის უფროსმა ბ-ნმა ქავთარაძემ მაშინვე გაჰგზავნა კაცები აქ მოიყვანეთო. კაცი დაბრუნდა ხელ-ცარიელი: „რა ვქნა, გინდ მომკალით, ბატონო, როდესაც ვნახე, დაჩოქილები ტიროდნენ და თან ლოცულობდნენ, ძალა ვერ დავატანეო; ვუთხარი-კი, „ნაჩალნიკმა“ გამომგზავნა მეთქი. ხალხმა მითხრა: წუხელის დიდს ქარში წმიდა სანთელი ენთოთ, ისე იწოდა, რომ ქარს ერთხელ არ გაუქრაო, რამდენიც დაიწოდა, იმდენს გამოსცვლიჯნენო“. ამის შემდეგ ბ-ნმა ქავთარაძემ თავისი მოხელე გაგზავნა, მაგრამ იმათ გაესწროთ და წასულიყვნენ სადღაც. მეორე დღეს ზუგდიდის მაზრის უფროსს თავ. დადეშქელიანს კი დაეჭირა. ქალი ნამოლოზნარი ყოფილა, გაუთხოვარი, ის ორი კაციც გვარად როგავანი. „ხალხს არაფერს ვართმევთ და არას ვაწუხებთო“, ეს არის თურმე იმათი პასუხი. ქალს გასაგიჟებელს მშვენიერს და ლამაზს ამბობენ. ეს უცნაური ამბავი ეხლა სალაპარაკოდ გახდომია მთელს სამეგრელოსაო, დასძენს კორესპონდენტი.

*** ბათუმი. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით, ბათუმში შესდგა, გუბერნატორის თანაშემწის პოლკოვნიკის სამოილოვის თავმჯდომარეობით კომისია, რომელმაც თვალ ყური უნდა ადევნოს ბათუმის ოლქში შავის ზღვის ნაპირებთან და თვით ბათუმში მომავალს გემებს, რომ იმათ არ შემოიტანონ ჟამი, რომელიც ამ ჟამად ინდოეთში მძვინვარებს. ხსენებულ კომისიის წევრებად დანიშნულნი არიან: ბათუმის ქალაქის მოურავი, ოლქის უფროსი, პოლიცმეისტერი, კარანტინის ტირექტორი და ექიმები: ოლქისა, ქალაქისა, სასანიტარო და სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი. კომისიის თავჯდომარეს შეუძლიან ამ კომისიაში სხვებიც მოიწვიოს.

---

## დამაკვირდი

ჩვენ ბევრსა ვქადაგებთ „სახარებას შრომისას“, დროა ვთქვათ რამე შესვენების სიკეთეზედაც.

სპენსერი

**

ყოველი მეცნიერება წინად ხედვაა და ყოველი წინად ხედვა ბოლოს და ბოლოს გვშველის ჩვენ ცოტად თუ ბევრად კეთილს მივწვდეთ და ბოროტს ავცილდეთ.

სპენსერი

**

უმთავრესი საგანი კანონ მდებლობისა ის უნდა იყოს, რომ შესამლოდ იქმნას კარგი თვისება განუვითარდეს ერის ხასიათსა.

სპენსერი

**

რამოდენადაც სრულია და სავსე მოქმედება მართლ-მსაჯულებისა, იმოდენად სიცოცხლე და ცხოვრება ადამიანისა ამაღლდება ხოლმე.

სპენსერი

---

## კორესპოდენცია

**ქიზიყი**, 16 იანვარი. თავად რა იყო სოფლის სამიკიტნოები, რომელნიც თითო სოფელში ათობით მოიპოვება და წლევანდელმა ღვინის უმოსავლობამ უფრო გააუკუღმართა. წყალწყალა ღვინო-არაყს ჰყიდიან მამასისხლად, მაგრამ ამას ვიღა იჩივლებდა, ღვინო-არყის საწყაოები მაინც რომ სწორე ჰქონოდეთ და მრავალგვარის მოტყუებით არ ატყავებდნენ ხალხს. მოქეიფე მთვრალი ხალხის დანახარჯის ერთი-ორად ანგარიში ანუ „გაჩოტკვა“ ხომ მიკიტნების ჩვეულებრივი ხელობაა. ყველა მიკიტანი ყასაბიც არის, მაგრამ ხშირად გატეხის ნათრევის მგზავსს ხორცსა ჰყიდიან სოფლის ხალხზედ და მეტ ფასად გაჰყიდვა და წონაში მოტყუებაც ხომ მიკიტნებისავე მკვლი ხელობაა.

კარგა ხანია ცდილობდა ქიზიყის დეპოს გამგეობა მიკიტნების ამ გვარ ცარცვა-გლეჯისაგან ხალხის გამოხსნას და, როგორც სჩანს, იმის ცდას ცუდად არ ჩაუვლია; დღეს სოფელს მახლობელში მზადდება სახალხო დეპოს განყოფილება და თებერვლიდგან დაიწყებს მოქმედებას; ამ განყოფილებაში გაიყიდება ღვინო-არაყი და ხორცი, რისთვისაც ხალხი დიდად მოხარულია, რადგანაც დარწმუნებულია, რომ იქ ღვინო-არაყი და ხორციც კარგის ღირსებისა იქნება და მიკიტნების მაგანდაგზედაც ნაკლებ გაიყიდება სწორე საწყაო-წონით.

ქიზიყის სახალხო დეპომ მეორე წელიწადია თვალ-საჩინოდ დასცა სიღნაღის მაზრაში წვრილი ვაჭარ-ჩარჩების უკლეფაობა, მამასისხლად ყიდვა საქონლისა და დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს ეკონომიურად; მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც გამოჩნდნენ კეთილის საქმის მტერნი, რომელნიც დეპოს დაარსებიდგანვე დამკრებიან ხალხში გველაძუებივით და გაიძახიან: „დეპოს საქმე იღუპებაო, ანგარიშებს ტყუილად უჩვენებენ, რომ ამდენი მოგებაო, დეპოს შიგ მყოფნივე შესჭამენ და არიქათ, ვისაც საწევრო ფული გაქვთ შეტანილი ეხლავე გამოიტანეთო“ და სხვანი. მერე იცით ვინ ლაპარაკობენ ამ მოჭორებულს სიცრუეს? ისინი, რომელნიც ზედავის ხალხის ნაშრომ-ნაღვაწის მუქთად ჭამას დიდის ხნიდგანვე დაჩვეულნი არიან და მთელი კეთილდღეობა თავის მსგავსი ჰგონიათ; ისინი, რომელთაც დეპოს გამგეობის წევრებთან რაიმე კერძო უსიამოვნება აქვთ და კეთილის საქმის დამხობა სწადიანთ ნიშნის მოსაგებად; ლაპარაკობენ ისინი, რომელნიც სოფლის ჭირსა და ლხინში დაუპატიჟებლივ დაბრძანდებიან და ჩოხის მასრები დაფქვული მირაპილპილით აქვთ სავსე გაუმდომელი მადის ასამღლელად, ამოიღებენ მასრას და ხარბად მოაყრიან ბოზბაშს და შილაფლავს. ასეთებს იშვიათად შეხვდებით ქვემო-ქიზიყის გაშლილს სუფრაზედ.

ვერც ქიზიყის სახალხო დეპო ასცდა ჭორებს. მაგრამ ხალხი აშკარად ხედავს დეპოს დიდს მნიშვნელობა—სიკეთეს და დეპოს უზარმაზარი შენობა ყოველ დღე სავსეა მუშტრით. დეპოს დამაარსებელმა ბ-ნ დ. მახსაანელმა წინდაწინვე იცოდა, რომ კეთილ საქმეს მრავალი ცილის მწამებელნი გამოუჩნდებოდნენ, და ამისთვის თავდაპირველადვე მისცა გამგეობამ დეპოს წევრებს ისეთი ხელწერილობა, რომლის ძალით გამგეობა თავისიღ ქონებით პასუხის მგებელია წევრთა წინაშე, თუ გამგეობის უზრუნველობა—დაუდევრობით დეპოს რაიმე ზარალი მოუვიდა. მაშასადამე, ქიზიყის დეპოს წევრთა თანხა უზრუნველ ყოფილა, ე. ი. თუ დეპოს გამგეობა ქვეყნის წინაშე თავს შეირცხვენს და გაჰფლანგავს საზოგადოთანხას ის თავის საკუთრების გაფლანგვა იქნება, იქ საწევრო ფული კი არავის დაეკარგება ისე როგორც, საგარეჯოს და თელავის დეპოებში ხსენებულის ხელშეკრულობის მგზავსი პირობის უქონლობის გამო, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა მაინც არ ისვენებენ კეთილის საქმის მტერნი.

„ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმაკი ჰფქვასო“, იმისი არ იყოს, დეე ვინც რა უნდა ილაპარაკოს, ოღონდ ქიზიყის დეპოს გამგეობა იქამდის ეცადოს და იმოქმედოს დაუღალავის ენერგიით, რომ თავისი კეთილნი განზრახვანი საქმედ გადააქციოს, იქამდის გაადიდოს და გაამლიეროს წევრთა მოპოებით დეპოს მოქმედება, რომ მთელის ქიზიყის მილიონების ალებ მიცემობა ღვინისა, სულადისა, მატყლისა, თამბაქოსი, საქონლისა, აბრეშუმისა და მრავალის სხვისა ქიზიყისავე საზოგადოებას ჩაუგდოს ხელში და იმ მილიონების მოგება, რომელიც უცხო კაჭრების ხელში გადავიდოდა, ხალხსვე დაუბრუნოს უკან ხალხისავე გონებრივად და ქონებრივად გასამდიდრებლად.

მან-ბანი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

საკვირველი გაზეთია „გრაჟდანინი“. ხანდახან ისეთს აზრებს წამოისვრის ხოლმე, რომ განცვიფრებული ჰკითხულობ: ნუ თუ შესაძლოა XIX საუკუნის დამლევს იყოს ვინმე ამ აზრებისაო და იმასაც საქვეყნოდ ურცხვად აცხადებდესო. ხანდახან-კი ძალიან მოსაწონარ ადამიანურს აზრებს გამოსთქვამს ხოლმე. აი ერთი ამის მაგალითი:

პრივისლიანის მხარის შესახებ დასტამბა წერილი „მოსკოვსკ. ვედ.“-მა, რომელშიაც აღიარა რომ მართლ-მადიდებელს ეკლესიას ამ მხარეში მთავარი ადგილი უჭირავსო. თ მეშჩერსკი ამის შესახებ ამბობს, რომ ეს აზრი შეცდომით არის გამოთქმულიო. რადგან უმეტესი ნაწილი ამ მხარის ხალხისა კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებს, ამიტომ კათოლიკეთა ეკლესიას ეკუთვნის უპირატესობაო. ჩვენის ეკლესის შესახებ-კი მხოლოდ ის შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სახელმწიფო ეკლესია არის და არა უპირატესიო. თუ ასე არა ვსთქვით და კარგად არ გამოვირკვიეთ ორივე ეკლესიის მდგომარეობა ამ მხარეში, შეიძლება მრავალი არა სასიამოვნო აზრები აღვუძრათ მკვიდრთაო.

საზოგადოდაო, განაგრძობს ავტორი, სარწმუნოების საგანს დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთო. ჩვენის კანონების ძალით, კათოლიკენი შეზღუდულნი არიან სადმრთომსახურების აღსრულების მხრივ; რაკი ასეთი კანონი არსებობს, უთუოდ რაიმე მიზეზმა გამოიწვია იგი, ხოლო ამის გაგება-კი მეტად ძნელია ჩვენთვის რითი უნდა იყოს უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო საშიშარი სახელმწიფოსთვის კათოლიკე კონდუქტორი პრივისლიანის გზებზედ, ვიდრე მთელის რუსეთის იმპერიისათვის დაწესებულის დეპარტამენტის დირექტორი კათოლიკე. შეთვისება და მოთმენა კი მეტად ძნელია იმ მოვლენისა, რომ კათოლიკე იცვლის სარწმუნოებას, რათა ზემოხსენებულის კანონის მორჩილებას თავი დააღწიოს, იგი ხდება მართლ-მადიდებლად, და თუმც გუშინ არა საიმედო იყო, დღეს საიმედო მართლ-მადიდებლად გარდაიქცევა ხოლმე. ეს საზიზღარი და ზნეობის ალმაშფოთებელი მოვლენა უეჭველად სარწმუნოებრივის გრძნობის შემბღალველია. ეს მოვლენა-კი თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გარდიქცა, აღარავის არ აშფოთებს და საქებარ საქმედაც მიაჩნიათ.

ისე არაფერი-კი არ შეაგინებს მართლ-მადიდებელ ეკლესიას, როგორც ეს, იმიტომ, რომ ამით მართლმადიდებელი სარწმუნოება ხდება სინიდისის საზიზღარ ვაჭრობის საგნად სარწმუნოებას ყიდიან, რომ ამითი სამსახურში ადგილი მოიპოვონ. უარი ჰყავ შენთა წინაპართ მორწმუნეობას, უარ-ჰყავ მირონი, საჯაროდ შეაგინე შენი ეკლესია, ფიცი გასტეხე, სარწმუნოებას გადაუდგე, გამყიდველი ჩვენს ეკლესიას შემოეკედლე, ამისთვის მიიღებ ადგილსა, რომლის მოპოებაც არ შეგეძლო, როცა კათოლიკე იყავი: თუ ფიცსა და სჯულს გადაუდგები, შეიქმნები იუდა, გამყიდველი შენის ეკლესიისა, მაშინ გექნება უფლება რუსეთის სახელმწიფოს საიმედო ქვეშევრდომათ ჩათვლისა, იმ დღიდგან გექნება რუსეთის პატივი და მის ბედ-იღბლის გამგეობასაც შენ მოგანდობენ.

როდისღა მოეღება ამ საზიზღარ მოვლენას ბოლო და როდისღა გვეღირსება, რომ რუსეთის პატივის დასათვარავად ამგვარი ამბავი შეუძლებელი იყოს?.

**

„კვალის“ რედაქცია შემდეგის სიტყვებით მიეგება ჩვენის გაზეთის პირველს ნომერს:

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ძლივს გვეღირსა და ვნახეთ გამოსული გაზ. „ივერია“, სრული რვა თვის სიჩუმის შემდეგ პარასკევს, 17 იანვარს, გაზეთმა პირველად ამოიღო ხმა. ხალხი რაც უნდა მცირე იყოს, ჟურნალ-გაზეთოდ ძნელი წარმოსადგენია, მეტადრე ყოველ დღიური გაზეთი უნდა შეადგენდეს მის „პურს არსობისას“. ამერიკელებმა იციან როდესაც ორი სამი სახლობა გაემგზავრება სადმე უდაბურ ადგილს დასასახლებლად, თან წაიღებს ხოლმე სტამბის „დაზგას“, როგორც უპირველესს საჭირო ნივთს და ასე ამბობს: კაცი უგაზეთოთ ისე არ კარგა, როგორც თევზი უწყლოთო. ჩვენ ყოველ დღიური გაზეთი გვქონდა „მხოლოთ „დროება“ და ახლა, ეს ათი წელიწადია, „ივერია“ გვაქვს. მასთან ისე შეთვისებული, ისე შესისხლ-ხორცებული ვართ, რომ მისი უქონლობა წარმოადგენს სხეულის რომელიმე ნაწილის უქონლობას. მართალია ჩვენ ერთმანეთს ვკიცხავთ, ვკილავთ, მაგრამ ეს მოგვდის გულითადი გრძნობით, სიმართლის ასადგენათ და არც გვინდა გუნებაში გავიტაროთ, რომ სხვას ან ცუდი განძრახვით ან სიბოროტით მოუდიოდეს ხშირათ უსამართლო ფარ-ხმლის ხმარება.

ჩვენდა სამწუხაროთ ამ ერთად ერთ ყოველ დღიურ გაზეთს გარდა არც გვქონია და არცა გვაქვს სხვა გაზეთი. ვგებებით სიხარულით მის განახლებას და იცოდეს, რომ მისი მწუხარება და სიხარული არის ჩვენი და ჩვენი ხალხის მწუხარება და სიხარული.

არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ეს სიტყვები. დროა შევიგნოთ, რომ ჩვენ ყველანი ვემსახურებით დიდსა და მძიმე საგანს ჩვენის სამშობლოს კეთილდღეობისას და არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს წუთიერს დღიურს კინკლაობას, რომელიც, რასაკვირველია, შედეგია ზოგი იმისა, რომ მაღალს კულტურას მოკლებულნი ვართ და ზოგიც იმისი, რომ, რაც უნდა განათლებული იყოს კაცი და მით უფრო ქართველი, მაინც მრავალ მხრივ კიდევ მოუხეშელი და გაუთლელია.

## რუსეთის ცხოვრება.

გაზეთ „კიევლიანინი“-ს სიტყვით კიევის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი თ. ორბელიანი დანიშნულ იქმნა თურმე ირკუტსკის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლად. საზოგადოდ ციმბირის სასამართლოებში მრავალნი მოხელენი გაიგზავნება კიევიდანაო.

—

პეტერბურგის გუბერნიის ერობა შეჰკითხებია შინაგან საქმეთა სამინისტროს, განგვიმარტეთ შეუძლიან თუ არა საერო წოდების კაცს სასწავლებლებში სალმრთო სჯულის მასწავლებლად იყოსო. ამ საქმის გადაწყვეტა უწმინდესს სინოდს მიენდო თურმე.

—

სავაჭრო და საფინანსო დეპარტამენტი, ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 4-დამ 9 მაისამდე ვენაში გაიმართება საერთაშორისო გამოფენა სასოფლო-სამეურნეო და ღვინის საკეთებელ მანქანებისა.

—

როგორც ამბობენ, გზათა სამინისტროს უკვე გარდაუწყვეტია, რომ სახელმწიფო რკინის გზების საქონლის საწყობებში მოსამსახურეთა რიცხვი გამრავლდეს.

—

გაზეთ „გრაჟდანინ“-ის სიტყვით, ხელ-ახლად ალუძრავთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ იმ უნივერსიტეტებთან, რომელთაც საექიმო ფაკულტეტები აქვთ, დაარსდეს განსაკუთრებული საექიმო კურსები სოფლის ექიმების მოსამზადებლადაო.

—

*** გაზ. „ს.-პ.-ტ. ვედ.“-ს გაუგონია, რომ გზათა უწყების სამინისტრო სევასტოპოლში სანატორიასა ჰმართავს (ჭლექთა სამკურნალოს სახელმწიფო რკინის გზების ჭლექით ავადმყოფ მოხელეთათვისაო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც ეტყობა საფრანგეთის ავტორიტეტის მქონე გაზეთებს არ ეჭაშნიკათ გრაფ გოლუხოვსკის მგზავრობა გერმანიაში. სამინისტროს გაზეთი „ტანი“ აი რას ამბობს ამ მგზავრობის შესახებ: თქმა არ უნდა, გრაფი გოლუხოვსკის მოგზაურობა ოსმალეთის საქმემ გამოიწვიაო. ყველა კარგად არის მიხვედრილი, რომ დრო დადგა ამ საქმის როგორმე გარდაწყვეტისა. როდესაც დიპლომატია თავისს მოვალეობას აღასრულებს, ე. ი. როცა ელჩთა საბჭო შეიმუშავებს ცვლილებათა პროექტს, მაშინ ყველა სახელმწიფოები ერთად და ცალკ-ცალკე გამოსთქვამენ თავისს გარდაწყვეტილებას, რა გზასაც დაადგებიან ქრისტიანეთა დახმარების საქმეში. მაშინ ყოველივეს გავიგებთ და შევიტყობთ, ვინ რაში არის დამნაშავე. მაშინ ადგილი აღარ ექმნება უგნურ ზღაპრებს, რომელიც მოფენილია მთელს ევროპის საზოგადოებაში ამა თუ იმ სახელმწიფოს შესახებ.

—

**იტალია.** მეფე ჰუმბერტო დათანხმდა, რომ დი-რუდინის პარლამენტი დათხოვნილ იქმნას და ახალი არჩევნები დაინიშნოს. მოლოდინი აქვთ, რომ 21 იანვარს დაითხოვენ პარლამენტს. 25 იანვრამდისაც აღარ მოიცადეს, როცა პარლამენტის სხდომა არის დანიშნული. დი-რუდინის უთუოდ იმიტომ ეჩქარება პარლამენტის დათხოვნა 25 იანვრამდე, რომ არ უნდოდა ხალხის წარმომადგენლებს „თავისი უკანასკნელი სიტყვა ეთქვათ“, რადგან შეიძლება ამ სიტყვას არა სასიამოვნო გავლენა ჰქონდა ახალს არჩევანებზედ. სამინისტრო ჰზრუნავს, რომ ახალი არჩევნები უფრო მაგარს ნიადაგზედ დააყენოს. იმედი აქვს, რომ ხალხს გულს მოუგებს აბაშეთთან დაზავება და აგრეთვე ისიც, რომ დი-რუდინი განეცალკევა უკიდურესს დასებსა. ყველაზედ უფრო ბევრს მოელიან, რასაკვირველია, თვით მთავრობის ორგანებისაგან, რომელნიც ყოველთვის დიდს სამსახურს უწევდნენ სამინისტროს არჩევნების დროს. სამინისტრო ასე ჰგონია, მაგრამ მისი მომხრეები-კი ეჭვის თვალით უცქერიან პარლამენტის დათხოვნის სარგებლობას, და ჰგონიათ, რომ, პირ-იქით, მავნებელი იქმნება სამინისტროსათვის ეს ღონისძიებაო. შეიძლება კონსერვატორთა დასიც გადუდგეს დი-რუდინის და ახალი მეთაური აღირჩიოს. ამ მეთაურად ასახელებენ სიდნეი სონინოს, რომელსაც „კრისპის დოფინს“ უწოდებენ, და რომელმაც იტალიის ფინანსთა მდგომარეობა გაიუმჯობესა.

— „დეილ ნიუს“ ატყობინებენ რომიდგან, რომ ინგლისისა და იტალიის მთავრობას გაცხარებული მიწერ-მოწერა აქვთ დერვიშთა წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებაო. ამის შედეგი ის იქნება, რომ ინგლის ეგვიპტელ ჯართა რაზმი იტალიელთა დასახმარებლად გაემგზავრებაო. „ვოს. ცეიტ.“-ს არა სჯერა ეს ხმები, რადგან ინგლის-ეგვიპტელი ჯარის მოსვლამდის აგორდატის საქმე უკვე გარდაწყვეტილი იქნებაო. მერე საიდან უნდა შევიდეს ჯარი; სუაკიმიდგან ხომ გაგზავნეს ინდოელთა ჯარი და მხოლოდ ციხის დარაჯთა რაზმი დარჩაო. ასეთივე რაზმი დარჩა ინგლისს და ეს რაზმი იმდენად პატარაა, რომ შეუძლებელი იქნება რამდენიმე ათასის კაცის გაგზავნა დერვიშთა წინააღმდეგაო. ეს ჯარი ვერც კი მივა დანიშნულს ადგილზედ, რადგან მახდისტთა ჯარები არ გაუშვებენ და მერე კიდევ იტალიელებს არავითარი დახმარება არ სჭირიათ, სანამ საქმე ექმნებათ ატბარის დერვიშებთან. სულ სხვა იქნებოდა ინგლისელნი და ეგვიპტელნი რომ იკისრებდნენ კასსალის დაცვას, მაგრამ ამის შესახებ ჯერ არა ისმის-რაო.

—

**ოსმალეთი.** გაზ. „Temps“-ი თავისს მეთაურს წერილში სწერს: ეხლა ისეთი დრო დადგაო, როცა ყველა ჰგრძნობს, რომ საათი აღსასრულისა შორს აღარაა. თუ დიპლომატიამ დაამთავრა თავისი სამზადისი, თუ დიპლომატთა კრებამ უკვე შეიმუშავა ცვლილებათა პროექტი, ეხლა ის წუთია დამდგარი, როდესაც სახელმწიფოებმა დაუფარავად უნდა განაცხადონ თავისი სურვილი. მაშინ გერმანიაც ძალა-უნებურად უნდა დაეთხოვოს თავისს უცნაურს სიჩუმეს, რომლითაც იგი აქამომდე იყო მოცული და მობურული. ძნელად ასახსნელი იყო აქამდისაც გულგრილობა მისის კონსტანტინეპოლელ წარმომადგენლისა და საზოგადოდ თავ-დაჭერილობა და კრიჭა-შეკვრით ყოფნა მისის დიპლომატიის მხრივ, რომელიც ამ უკანასკნელ მეოთხედს საუკუნეში მეტად მშვიდი და წყნარი იყო. ჩქარა დადგება ჟამი, როდესაც ასეთი უმოქმედობა, ასეთი ხმა-ამოუღებლობა შეუძლებელი გახდება. აი კიდეც ეს არის მიზეზი გრაფ გოლუხოვსკის ბერლინში წასვლისა. გერმანიის მთავრობას ჰსურს მოელაპარაკოს ავსტრიის მინისტრს იმ გარდაწყვეტილებათა შესახებ, რომელსაც ისინი უნდა დაადგნენ მომავალშიო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ერთი უცნაური ამბავი ესეც არის. ბუდაპეშტში (უნგრეთის დედა-ქალაქია) ეს ორი წელიწადია, რაც ერთ სახის გაზეთი დაარსდა. ამ გაზეთს „ტელეფონი-გაზეთი“ ჰქვიან. ამ გაზეთზე ხელის მომწერი თავისს ტელეფონს გაზეთის ტელეფონს შეუერთებს. დილის 8 საათიდამ ამ გზით შეუძლიან, თუნდ ქვეშაგებიდამაც არ ადგეს, მიიღოს ყოველივე ახალი ამბავი გაზეთისა. ყველაზე უწინ რედაქცია აუწყებს თურმე წინადღეს ვინ მოსულა პეშტში, მერე იმ დღის კალენდარს, ატყობინებენ იმ დღეს რა დროს შეიძლება მთხოვნელნი მიღებულ იქმნან სხვა-და-სხვა სამმართველოში და რა დროს შესაძლოა ქალაქის გამოჩენილი ადგილები ინახულოს. ათის საათის ნახევრიდამ ატყობინებენ რა დეპეშებია მოსული ვენიდამ, რა ამბებია დაწერილი ვენის უმთავრესს გაზეთებში, მერე თვითონ პეშტის გაზეთების ამბებს აუწყებენ. ყოველ ამის შემდეგ ატყობინებენ დილის ბირჟის ამბებსა, სასამართლოში რა საქმეები ირჩევა, ან უნდა გაირჩეს, პარლამენტში ვინ რა სიტყვა წარმოსთქვა, სად რა ბალი ყოფილა, თეატრი და სხვა ამისთანა შესაქცევარი. სადილს შემდეგ მოკლედ აცნობებენ ყოველს ფერს, რაც დღის განმავლობაში მოხდა. საღამოზე ხელის-მომწერს, გადაწოლილს თავისს ტახტზე, შეუძლიან მოისმინოს თუ სადმე კონცერტია. ეგრედ წოდებული სიტყვა-კაზმული ლიტერატურა ამ გაზეთისა ყველაზე მეტად მოსწონთ თურმე. რაც იქაური ორიგინალური მოთხრობებია, თვითონ ავტორები უკითხვენ ტელეფონით ხელის მომწერთ. ამისათვის სადგური ავტორებისა და ხელის-მომწერისა საერთო ტელეფონებით არიან გადაბმულნი. ამბობენ, ეს ახალი ამბავი გაზეთის საქმისა ძალიან სასიამოვნოდ გაუხდათ პეშტელებსაო და ძალიან მოსწონთო. მუშტარი გაზეთს თურმე ბევრი გამოუჩნდა. ბევრი მდიდარი კაცი უფრო ამ გაზეთს ეხარბება, ვიდრე სხვა ჩვეულებრივს გაზეთსაო. პ. ილ.)

# დეპეშა

18 იანვარი.

**პარიჟი.** 5 საათზედ მურავიევი იყო რესპუბლიკის პრეზიდენტთან გამოსათხოვებლად. ამ დარბაზობამ $^{3}/_{4}$ საათს გასტანა. საღამოზედ რუსეთის საელჩოში სადილი იყო, რომელსაც დაესწრნენ: გრაფი მურავიევი, ანოტო, ნიზარი, გენერალი ბუადეფრი, ადმირალი ჟერვე, კროზიე, ეტტერი ბარონი მორენჰეიმი მეუღლითურთ, ფრედერიქსი, გირსი, ნარიშკინი, გრაფინია ბრანიცკისა, მარტინოვი. გრაფი მურავიევი საღამოს 9 ს. 25 წ. ბერლინში წავიდა. რკინის გზის ჩრდილოეთის სადგურზედ გრაფის წასვლას დაესწრნენ ანოტო და ბარონი მორენჰიმი. იმ დროს, როდესაც გრაფ მურავიევმა მაგრად მაგრად ჩამოართვა ხელი ანოტოს და მატარებელში ადიოდა, ხალხიდგან მოისმა საერთო ხმა: „გაუმარჯოს რუსეთს!.“

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. სამხედრო სამინისტროს საპარლამენტო მდივანი ბოდროკი აცხადებს, კანონ-პროექტი სამხედრო სიმაგრეთა შესახებ უმნიშვნელო ნაწილს არ შეადგენს საერთო საერო თავ-დაცვის პროგრამისას. 55,000,000 მან. სესხის შემწეობით უნდა იქნას ნაშოვნი; ამათგან 11,200,000 ციხე-სიმაგრეესისათვის უნდა დაიხარჯოს. 30 მილ. მანეთამდე ყაზარმებსა და დიდს ბანაკებს დასჭირდება; 15,000,000 ლონდონის გარშემო ციხე-სიმაგრეთა აგებას და 500,000 საადლუმე ადგილებს.

19 იანვარი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდგან 65,000 მანეთი პეტერბურგის დედათა საექიმო ინსტიტუტის კომიტეტს, რათა ამ მიმდინარე წელს ამავე ინსტიტუტში დაარსდეს მოსწავლე ქალთათვის საზოგადო საცხოვრებელი.

**პარიჟი.** „Matin“ ამბობს, რომ ჰანოტოსა და მურავიევის მიერ წარმოთქმულმა სადღეგრძელოებმა დიდი მოქმედება იქონია სადიპლომატო კორპუსზედ და მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. „Gaulois“ სიტყვით, ეს სადღეგრძელოები საფრანგეთსა და რუსეთს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების მომასწავებელია, ვიდრე იყო როდისმე.

**ბერლინი.** გრაფ მურავიევის მოსვლის გამო, „ჩრდილო-გერ. გაზეთი“ სწერს, რომ თავისის დიპლომატიურის მოღვაწეობის დროს გრაფმა დიდხანს დაჰყო ბერლინში და იქ მრავალი მეგობარი მოიპოვა. იმპერატორთან ყოფნის და გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეებთან მოლაპარაკების დროს გრაფი დარწმუნდება, რომ ამ ჟამად, ისე როგორც წინადაც, ძალიან ცოტაა ისეთი მიზეზი, რომელიც ხელს შეუშლის გერმანიის და რუსეთის გარეშე პოლიტიკის საგანთა ერთობასა.

**ბერლინი.** გრ. მურავიევს მიეგება რუსეთის ელჩი და საელჩოს წევრნი. რუსესეთის საელჩოში საღამოს სადილი იქმნება გამართული, რო-

მელზედაც მიწვეულნი არიან: იმპერიის კანცლერი, მარშალი და მრავალნი წარჩინებულნი. სადილს შემდეგ სელჩოში დიპლომატები მივლენ გრაფთან. კვირას იმპერიის კანცლერი გრაფის პატივსაცემლად გამართავს სადღესასწაულო სადილს, რომლის შემდეგ გრაფი გაემგზავრება კილში, საცა მას იმპერატორი მიიღებს სადარბაზოდ.

**კილი.** პრინცი ჰენრიხი მონათლულ იქმნა.

**ვენა.** „Fremd“. მეთაურს წერილში ამბობს: „განოტოს და გრ. მურავიევის გუშინდელი სადღეგრძელოები კიდევ ერთი საბუთია იმისა, რაზედაც სადიპლომატო წრეებში ეჭვი არასოდეს ჰქონიათ, სახელდობრ იმისა, რომ, მურავიევის პარიზში მისვლას აზრად გერმანიის საწინააღმდეგო არა აქვსრა, არამედ გამომეტყველია საფრანგეთისა და რუსეთის მეგობრულის დამოკიდებულებისა. სადღეგრძელოებში ის აზრია გატარებული, რომ დაცულ იქმნას მშვიდობიანობა, რომლისათვისაც დღეს მთელი ევროპა ზრუნავს.

**რომი.** აგორდატიდგან იუწყებიან, რომ დერვიშები, რომელსაც იტალიელები თვალ-ყურს ადევნებენ, უკან იწევენ და მდინარე გასკს გადავიდნენ. დერვიშების მიერ ამიდებთან აგებული სიმაგრეები იტალიელებმა დაანგრიეს.

**ლონდონი.** „Fimes“-ს ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ სულთანი დასთანხმდა ოტომანის ბანკის პირობებზედ და 250,000 სტერ. სესხის ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია.

**კონსტანტინეპოლი,** გამოვიდა სულთანის ირადე, იმის შესახებ, რომ ნაპირების დასაცველად სტაციონერებს მიემატოს რამდენიმე ჯავშნიანი გემი და გაძლიერდეს დარაჯი ევროპის და აზიის მხრის ნაპირების დასაცველად.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეების გამო შემდგარმა სენატის კომისიამ, 6 ხმით წინააღმდეგ 4 ს-ა, შეიწყნარა მედიატორეთა დადგენილება ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის. დადგენილება შესწორებულია რედაქციის მხრივ; ის მუხლი, რომელიც შეეხება შვეციის მეფის მედიატორედ დანიშვნას; შეცვლილია სხვა მუხლით, რომელშიაც ნათქვამია, რომ როცა საჭიროდ დაინახავს, ორივე სახელმწიფო ირჩევს მედიატორესაო. შემდეგ პირველ მუხლს მიმატებული აქვს შენიშვნა, რომლის ძალითაც არც ერთი საგანი, რომელიც შეეხება ორსავე სახელმწიფოების გარეშე ანუ შინაგან პოლიტიკას, ხელ-შეკრულობებში მოხსენებული ანუ სხვაგვარად განწეს რიგებული, არ ექვემდებარება მედიატორეთა სამართალს, თუ ყოველს შემთხვევაში ამის შესახებ განსაკუთრებული მორიგება არ მოხდა ამ ორს სახელმწიფოს შორის.

**ქაირი.** დონგოლსა და ომდურმანს შუა მდებარე უდაბურს ადგილებში დერვიშების აქლემოსანი ჯარი გამოჩნდა, ამბობენ, რომ ამ ჯარს აზრად აქვს დაარბიოს ეგვიპტელების მოკავშირე ტომები. როგორც ეტყობა, ამ გვარისავე აზრით დერვიშების მცირე რაზმი მიუახლოვდა აღმოსავლეთის მხრით მერავს.

20 იანვარი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა დაათვალიერს რუსეთის სამხატვრო გამოფენა და რამდენიმე სურათიც შეიძინეს.

17 იანვარს საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის ძე.

**ბერლინი.** როგორც ამბობენ, გრაფ მურავიევს ნაშუადღევს ჰქონია მოლაპარაკება თ-დ ჰოჰენლოესა და სტატს-სეკრეტარ მარშალთან.

**ბერლინი.** კანცლერთან სადილად იყვნენ მიპატიჟებულნი გრაფი მურავიევი, რუსეთის ელჩი, გრაფი ოსტენ-საკენი და სხვანი წარჩინებულნი.

**ლონდონი.** ინგლისის ელჩი დეპეშით აუწყებს ვაჭრობის მინისტრს, რომ სპარსეთის ვაჭრობამ პურის გატანა აღკრძალაო.

---

### ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი №1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დილით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ.; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

---

### ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათევს ფასანაურში. მოდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავმეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათევს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათევენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სასულმწიფო ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

---


## განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

### ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა,

თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან. (3—3)

---

ქართული

### გოტიკური ანბანი

ფასი შაურია

ისყიდება ყველა ქართულ წიგნების მაღაზიაში

(4—4)

---

ყარსის გზის სამმართველო ამითი აცხადებს რომ, ამ მიმდინარე წლის 15 თებერვალს, თვით ამავე გზის სამმართველოს შენობაში, რტიშჩევის ქუჩაზედ, № 26, დილის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ყარსის რკინის გზის შენობისათვის საჭირო, რიცხვით სამი მილიონის აგურის მიტანის იჯარით გაცემისა.

აგური უნდა იყოს კარგად შეზავებული თიხა ნარევის ქვა-ქირითა და სილით, კარგად გამომწვარი, მჭიდრო და მაგარი; არ უნდა ერიოს ქვა-ხრეში და სხვა აგურისათვის მავნებელი ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს აგურის მალე დაშლა დამტვრევას წვიმისა და ნალბისაგან და, ამასთან წყალშიაც გამძლე იყოს. დაკვრის დროს აგურმა უნდა გამოსცეს ლითონისებრივი ხმა; კიდეები უნდა ჰქონდეს სწორე, რომ უფრო ადვილად შეიძლებოდეს კედლის სწორედ ამოყვანა.

აგური ამ ზომისა უნდა იყოს: სიგრძე უნდა ჰქონდეს 6 სიგანე $2^{7}/_{8}$ და სისქით კი $1^{1}/_{2}$ ვერშოკი.

აგური მიიღება აქეთა მხრის რკინის გზაზედ და ან თვით ყარსის გზაზედ, ვაგონებში ჩაწყობილი; დანიშნულ ადგილზე აგურის კარგად მიტანის პასუხის გება უნდა იკისროს თვით მოიჯარადრემ. ხოლო ნახევარ-ნახევარი აგური შეიძლება ერიოს 15%. ფულის მიღება შეიძლება: 75% აგურის ვაგონებში ჩაწყობის თანავე და 25% კი იმის დანიშნულ ადგილას მიღების შემდეგ.

მოიჯარადრე აგურის დაზიანებისათვის პასუხის გებისაგან განთავისუფლდება, თუ ეს დაზიანება რკინის გზის მიზეზით მოხდა.

გადატან გადმოტანა აგურისა კავკასიის აქეთა მხრისა და ყარსის რკინის გზებზედ შეიძლება შეღავათიანის ტარიფით: ფუთის ყოველ ვერსზედ დაეთმობა, $^{1}/_{000}$ კ. გარდა სადგურის სხვა გადასახადთა, რომელიც ჩვეულებისამებრ გარდახდება.

ვაგონში დასაფენი ფიცრები და სხვა მასალები, რაც კი აგურის გადატან გადმოტანის დროს იხმარება, მოიჯარადრეს დაუბრუნდება იმ სადგურზე, სადაც თვით აგურის ქარხანაა. ხოლო ამ ფიცრების წაღებ-წამოღება მუქთად შეიძლება ყარსის გზაზედ, კავკასიის აქეთა ნხრის რკინის გზებზე კი შეღავათიანის ტარიფით.

აგური უნდა ჩაჰბარდეს თანასწორ ნაწილებად ამ წლის პირველ ოკტომბრამდე. ამასთანავე ამ იჯარის აღების მსურველთ ვაუწყებთ, რომ სადგურ საღანლუღის მახლობლად მოიპოვება ისეთი მასალა, რომლიდანაც შეიძლება საკმაოდ კარგის ღირსების აგურის გაკეთება და თუ ვინმე გამოჩნდება მსურველი აავოს ამ სადგურთან აგურის ქარხანა, ამისთვის საჭირო მასალა ყარსის გზაზედ ზემოხსენებულის ტარიფით შეიძლება გადაიტანოს.

პირობის შეკვრის, დროს, ვინც ამ იჯარას აიღებს, უნდა შემოიტანოს ბეთ მთელის ჯამის 5%; ამას გარდა, რკინის გზა ყოველ მიტანილ აგურის საფასურიდგან დაიჭერს 10% ამ ბეს შესავსებლად იმ დრომდე, ვიდრე შესრულდებოდეს ყარსის რკინის გზის მოიჯარადრეთათვის დაწესებული რაოდენობა.

დაწვრილებითი პირობის შეტყობა თვით ყარსის გზის სამმართველოს სამეურნეო განყოფილებაში დილის 9—11 საათამდე, ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა. (3—6.—1)

---

### ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მისის 28 დეკემბრის 1896 წლის გარდაწყვეტილების ძალით, რომელიც დაამტკიცა ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა 8 იანვარს 1897 წ., შესდგება საბჭოს

### საარჩევანო სიები

ტფილისის ხმოსანთა ასარჩევად ოთხის წლის ვადით 1897—1901 წლებში, საარჩევანო კრებაში, რომელიც დანიშნულია კვირას, 18 მაისს 1897 წელს.

ამ სიაში ჩაიწერებიან (24 მუხლ. ქალაქის დებულებისა):

1) რუსეთის ქვეშევრდომნი, აგრეთვე საქველ-მოქმედო, სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულებანი მთავრობისანი, რომელთაც აქვთ საკუთარი უძრავი მამული ტფილისის სამზღვართა შორის, ღირებული არა ნაკლებ ას ორმოცდაათის თუმნისა, და რომლისათვისაც იხდიან ქალაქის სასარგებლოდ დაფასების გარდასახადს.

და 2) რუსეთის ქვეშევრდომნი და რუსეთის იმპერიის კანონთამებრ დაარსებულნი საზოგადოებანი, ამხანაგობანი, რომელთაც წლიწადზე ნაკლები არ არის, რაც ტფილისში აქვთ სავაჭრო-სამრეწველო წარმოება, რისთვისაც საჭიროა მოწმობა პირველის ან მეორე გილდისა.

ქალაქის გამგეობა თავისს მოვალეობად სთვლის ყოველსავე ზემოხსენებულს დასძინოს, რომ საარჩევანო სიების შედგენას იგი დაასრულებს, თანხმად იმავე გარდაწყვეტილებისა, ამა 1897 წ. 1 თებერვლამდე. ამიტომ ვისაც ჰსურს ჩაწერილ იქმნას სიებში, ამ წლის იანვრის გასვლამდე უნდა შემოიტანოს ქალაქის ყოველივე დარჩენილი გარდასახადი, რომელიც ერგება გამგეობას წარსულ წლის 1 ივლისამდე, რათა მათზედ დარჩეს არა უმეტეს ნახევარ წლის შემოსატანი, ქალაქის დებულების 33 მუხლის გ. 8 ძალით. (3—2)

---

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ**

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТ. И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

## „Новое Обозрѣніе“

(четырнадцатый годъ изданія)

Въ 1897 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить **въ Тифлисѣ**, какъ и въ прошлые годы ежедневно, по программѣ большихъ столичныхъ газетъ.

**Условія подписки:** съ пересылкою и доставкою: на годъ—**10 р.** на полгода—**6, р.,** на три мѣсяца—**3 р., 50 к.,** на одинъ мѣсяцъ **1р 50 к.,** **За границу:** на годъ—**17 р.,** на полгода—**9 р.,** на три мѣсяца—**5 р.,** (Подписка принимается не иначе какъ считая, съ перваго числа любого мѣсяца) Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—**7 р.,** полгода—**4 р.**

**Для годовыхъ подписчиковъ,** какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится 3 р., къ 1-му марта—2 р., къ первому мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.,

Подписка и объявленіе принимаются **ВЪ ТИФЛИСѢ: въ конторѣ** газеты, Барятинская ул. № 8.

Иногородные адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“**

(3.—მ.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Января 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე